

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ვოლტს

ს/ნ 405250874

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2022

საქმიანობის შედეგები 31.12.2022

განმარტებითი შენიშვნები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მპს „ვოლტს“-ის ფინანსური ანგარიშგება, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და წინა შესადარის წლებზე ინფორმაცია, მომზადებული და დამტკიცებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : საზოგადოება დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 30 იანვარს, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2018 წლის 31 იანვრიდან.

საფირმო სახელწოდება: შპს ვოლტს

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405250874

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაქარიაძის ქ., N8, ბ. 57

ფაქტიური მისამართი : საქართველო, თბილისი, დიდი დიდმის რაიონი ფარსადანის ქუჩა N6

საქმიანობის ძირითადი სფერო : ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი.

ანგარიშების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2022 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

საადრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);

2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს

3. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს საღაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის აღბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით: რომელიც მოცავს შეძებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში, სპეცტანსაცემელი და შრომის დაცის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები, დისკები, ეკრანის საწმენდი სითხე და სხვა ანალოგიური) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება შესაბამის ხარჯებს.

მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემნადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე საშუალება მიეკუთვნება ზედნადებ ხარჯებს, მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება მიმდინარე რემონტის ხარჯებში

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობამ მოყვანის ხარჯებს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით .
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდბოს ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით
- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში, განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახეული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი -ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალი -

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაგებებრი მოგება იბეგრება 15 %-ით.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად შეეცდება შექმნას საექვო ვალების გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, 2022 წლის 31 დეკემბრიდან, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნებოდა საწარმოზე. შპს ვოლტსი, მიუხედავად შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების და პოსტპანდემიური მდგომარეობისა, როგორც საანგარიშგებო, ისე მის შემდგომ პერიოდში აგრძელებს სტაბილურ ფუნქციონირებას.

დირექტორი: დავით სეჟანია

ბუღალტერი: ისაკი თურქაძე



ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	91522	61884	907889
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	96851	52466	423528
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	53125	65109	123091
მრავლები	1851691	1904430	729745
სხვა	1851691	1904430	729745
ძირითადი საშუალებები	174645	676378	775704
სულ აქტივები	2267834	2760267	2959957
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	28350	75088	9500
სხვა ვალდებულებები	1045733	917318	506856
სულ ვალდებულებები	1074083	992406	516356
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	46510	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1193751	1721351	2443601
სულ საკუთარი კაპიტალი	1193751	1767861	2443601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2267834	2760267	2959957
სულ მოკლევადიანი აქტივები	2093189	2083889	2184253
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1074083	992406	516356

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4562623	1826784
საქონლის გაყიდვიდან	402240	307615
მომსახურების გაწევიდან	4160383	1519169
გაყიდვების თვითღირებულება	-3580025	-1817763
საერთო მოგება	982598	9021
დასაქმებულთა ანაზღაურება	-284221	-215031
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-125963	-124055
საპროცენტო შემოსავალი	0	2311
საპროცენტო ხარჯი	-40807	0
იჯარის ხარჯი	-27488	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-158291	-394292
სულ საოპერაციო ხარჯები	-636770	-731067
საოპერაციო მოგება	345828	-722046
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-204
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	345828	-722250
მოგების გადასახადის ხარჯი	-46440	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	299388	-722250
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	299388	-722250
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1767861	2443601
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-873498	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	46510
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1193751	1767861

ფულადი სახსრების მოძრაობა


ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	71911	-823587
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1466	-24729
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	70445	-848316
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-40807	2311
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	61884	907889
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	91522	61884

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	775704
მიწის ნაკვეთები	
შენობა-ნაგებობები	
მანქანა-დანადგარები	113,971.00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	38,165.00
სატრანსპორტო საშუალებები	623,568.00
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	676378
მიწის ნაკვეთები	
შენობა-ნაგებობები	
მანქანა-დანადგარები	93,643.00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	45,305.00
სატრანსპორტო საშუალებები	537,430.00
ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წელი	174,645.00
მიწის ნაკვეთები	
შენობა-ნაგებობები	
მანქანა-დანადგარები	62,136.00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	41,149.00
სატრანსპორტო საშუალებები	71,360.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს ვოლტს ს/კ 405250874


შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1	ნედლეული და მასალა	1,887,019.00	1,904,430.00	729,745.00
		1,887,019.00	1,904,430.00	729,745.00

დირექტორი:

ბუღალტერი:





შპს ვოლტს ს/კ 405250874

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება; გადახდილი ავანსები

s	დასახელება	31.12.2022	31.12.2020	31.12.2020
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	61,523.00	51,649.00	389,946.00
2	საგადასახადო მოთხოვნები	35328.00	817.00	33,582.00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული	96,851.00	52,466.00	423,528.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს ვოლტს ს/კ 405250874


შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020
1	ფული სალაროში	31,097.00	2,150.00	269,946.00
2	ფული ბანკში	60,425.00	59,734.00	637,943.00
	სულ ფული და ფულადი	91,522.00	61,884.00	907,889.00

დირექტორი:

ბუღალტერი:

[Handwritten signature]
11-01-2023



შპს ვოლტს ს/კ 405250874

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელოსო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
1	კრედიტორები	28,350.00	75,088.00	9,500.00
2	მიღებული	1,045,733.00	917,318.00	506,856.00
3				
16				
	ჯამი	1,074,083.00	992,406.00	516,356.00

დირექტორი:

ბუღალტერი:




შპს ვოლტს ს/კ 405250874

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
1	ზედმეტად	35,328.00	818.00	33,582.00
	სულ	35328.00	818.00	33,582.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს ვოლტს ს/კ 405250874

შენიშვნა 7 - სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
1	საწარმოს არ ჰქონია სესხი	-	-	-
	სულ სასესხო ვალდებულებები	-	-	-

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს ვოლტს ს/კ 405250874

შენიშვნა 9 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი	საწესდებო	ჯამურად
1.2	საანგარიშო პერიოდის მოგება	3,911,543.00		3,911,543.00
1.1	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა	-809,916.00		-809,916.00
1	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის	2,357,357.00		2,443,601.00
2.2	საანგარიშო პერიოდის მოგება	-722,250.00		-722,250.00
2.1	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა			
2	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის	1,635,107.00		1,767,861.00
3.2	საანგარიშო პერიოდის მოგება	299,388.00		299,388.00
3.1	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა	-873,498.00		-873,498.00
3	ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის	1,060,997.00		1,193,751.00

დირექტორი:

ბუღალტერი:

